

## თამარ ჭურაბიშვილი

### შიდოვანისა და სახელობითის გაძვავებულ ფორმათა გამოყენება დროის გამოხატვისას

საკითხი ეხება დროის გამოხატვისას მიცემითი და სახელობითი ბრუნვების ფორმათა პარალელურ ხმარებას, რასაც ადგილი იქვს თანამედროვე ქართულ ენაში.

საერთოდ, სალიტერატურო ქართულში დროის გამოხატვა შეიძლება ზმინისართით (ახლა, გუშინ, ხვალ, ზეგ, შარშან, მაშინ, ადრე, გვიან...) ან გარკვეულ ბრუნვაში დასმული ისეთი სახელით, რომლის ლექსიკური მნიშვნელობა დროულ გაგებას შეიცავს, დროის ერთეულს აღნიშნავს (წელი, თვე, კვირა, დღე, საათი, წუთი, საუკუნე, ხანი, დრო, დილა, საღამო, ორშაბათი...). ამასთან, ამ უკანასკნელთაგან დროის გარემოებას შეიძლება გამოხატავდეს როგორც ცალკე სახელი, ისე მეორე სახელით განსაზღვრული სახელიც.

დროის გამომხატველი ცალკე სახელებისათვის ახალ ქართულში მეტ-ნაკლები სიხშირით გამოყენებულია ყველა ბრუნვა, გარდა სახელობითისა და მოთხრობითისა, მაგრამ გაბატონებულია მიცემითის ფორმათა ხმარება. დავასახელებთ სათანადო მაგალითებს: დღეს, დილას, საღამოს, შაბათს, წელს, პირველ მაისს, მცხეთობას, ნასაღილებს... მოსვლისთანავე, წასვლის შემდეგ, ცოტა ხნის მერე, დაწყების წინ... დილით, დამით, ზამთრობით, წლობით, შემოდგომილან... ძველად, ამჟამად, გაისად, პირველად, გათენებამდე, სამშაბათამდე და სხვა.

ანალოგიური მდგომარეობა იყო დროის გამოხატვის თვალსაზრისით ძველ ქართულშიც, ოლონდ იმ განსხვავებით, რომ იქ ამ ფუნქციით გამოიყენებოდა აგრეთვე წმინდა ფუძე (ე. წ. წრფელობითი): განთიად, წელ, უამ, წუთ, დღე, ლამე, თთუე.... ამასთან, წმინდა ფუძე დროის გარემოებად ყველაზე ხშირად იყო გამოყენებული<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ანტ. კიზირია, ადგილისა და დროის გარემოება ძველ ქართულში, იქ., ტ. V, 1953, გვ. 114; ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნვება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957, გვ. 649—653.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც გადმოცემულია მოქმედების მიმღინარეობის ხანგრძლივობა, ანუ ნაჩვენებია, რამდენ ხანს ხდებოდა მოქმედება, დროის გამომხატველი სახელი, ჩვეულებრივ მსაზღვრელიანია: მსაზღვრელად ძირითადად გამოყენებულია რაოდენობითი რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი ან ზედსართავი სახელი. ამის მაგალითებია: ორ დღეს, შვიდ კვირას, ათ წელიწადს, რამდენიმე საათს, მთელ ზაფხულს, მთელ საუკუნეს, მცირე ხანს, მეტ ხანს და სხვა.

ასეთ შემთხვევებში იხალ ქართულში მიცემითი ბრუნვის გვერდით გვხვდება სახელობითი ბრუნვით გადმოცემული დროის გარემოების არაერთი მაგალითი.

ნახევარ საათს სრული შდუბარება იყო (ლ. არდა%).

ნახევარი საათი იგორავა ტახტე (ა. ბელ.).

ორ თვეს კალოს ლეჭავდა (ხ. შანშ.).

ორი თვე აღარ ვყოფილვარ იქიოკენ (ილია).

სამ დღე და დამეს გადაულებლად წვიმდა (გ. შატბ.).

ყმაწვილი სამი დღე და ლამე მარტო წელითა და პურით იკვებებოდა.  
(გ. წერეთ.).

ეჭვს ს კვირას ქორფა ჭიას თუთის ფოთოლს აქმევენ (ი. გოგებ.).

ეჭვს კვირა ვებრძოდი სიყვდილს (ეკ. გაბ.).

ოც წელიწადს სჯიგნიღნენ და ეჭიდებოდნენ ქვიშნარს და თიხნარს, ოც წელიწადს (ზ. ჯავახ.).

იმაზე ამბობდენ, ვითომ ბატონი შემოკლომოდეს და ტყეში ეცხოვროს ოცი წელიწადი (ვაჟა).  
(რ. გვეტ.).

არ ვიცი, რამდენ ხანს ვილაპარაკე (რ. გვეტ.).

ბრძენო ვეზირო, რამდენი ხანი მეძინა ნეტავ? (კ. მაყ.).

ყმაწვილო, ამდენ ხანს კოპტიაბა როგორ იქნება? (აკაკი).

საღ დაიკარგე, კაცო, ამდენი ხანი? (ლ. ქარჩ.).

ძმები ზედიზედ რამდენიმე დღეს ს სჭამენ ხმელ ოვჩს (მ. ჯავახ.).

ამ ყოფაში იყვნენ რამდენიმე დღე (აკაკი).

მთელს საღამოს გარეთ დადიოდა დიდიდედა მარიამი (შ. არაგვ.).

ხანდახან მთელი საღამო იჯდა ეზოში (ხ. კლდ.).

მთელს ლამეს თვალი არ მოუხუჭნია (შ. არაგვ.).

წუხელი მთელი ლამე თვალი არ დაუხუჭავს (აკაკი).

მთელ ზაფხულს მიმინოც არსაღ ჩანდა (თ. რაზიკ.).

მთელი ზაფხული ვიწევი (შ. ლომთ.).

კვერცხები მთელს ზამთარს მიწაში აწყვია (ი. გოგებ.).

ეხლა კი საქმაო წიგნები მაქვს, მთელი ზამთარი მეყოფა (კ. ლომთ.).

ალყა მთელ შემოდგომას გრძელდებოდა (საბჭ. კავშ. ისტ. თარგმ.).

მთელი შემოდგომა გარეთ იყო (თ. რაზიკ.).

სახელობითი ბრუნვის გამოყენება დროის გარემოების გადმოსაცემად, თუმცა იშვიათად, ძველ ქართულშიც დასტურდებოდა.

## მაგალითად:

იყოს შვიდი წელი სიუმილი (დაბ. 41,27).

ამა, ესერა ესოდენი წელი გმონე შენ (ლ 15,29D)...

საერთოდ, ძველ ქართულში ერიდებოდნენ დროის გარემოების გაგებით სახელობითი ბრუნვის ფორმის ხმარებას<sup>2</sup>. ამასთან, სახელობითი ბრუნვის გამოყენებას დროის გარემოებად ძველ ქართულში წრფელობითიდან გაფორმებულად მიიჩნევენ<sup>3</sup>.

უნდა შევჩერდეთ აგრეთვე ისეთ შემთხვევებზე, როდესაც დროის გარემოების გამომხატველ სახელს მსაზღვრელად სიტყვა ყოველი ახლავს.

ამის შესახებ ივ. იმნაიშვილი ზემოთ დასახელებულ შრომაში შემდეგს წერს: „კაცს შეიძლება მოეჩვენოს წრფელობითის ხმარების მკრთალ გადმონაშთად ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: ყოველ დღე, ყოველ დამე, რომელთაც დღეს ძალიან ხშირად მივმართავთ ხოლმე. ყოველ დღე ძველი ქართულის „დღე ყოველ“-ის გაგრძელებაა, ესაა ოღონდ, რომ მსაზღვრელი, რომელიც ძველ ქართულში ჩვეულებრივად II აღგილზე იდგა, ახალ ქართულში თავში გადმოვიდა. ასეთივე ხსაიათისაა აგრეთვე „ყოველ ღამე“. მაგრამ მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ ეს „ყოველ დღე“, „ყოველ ღამე“ დღევანდელ ენაში ერთ სიტყვად, კომპოზიტად არის უკვე ქცეული და ასეთ შემთხვევაში მსაზღვრელი სიტყვის ფუძის სახით აღება ჩვეულებრივია. ასე რომ, აქ წრფელობითი ბრუნვის ხმარების გადმონაშთიც არ უნდა გვქონდეს“<sup>4</sup>.

ახალ ქართულში, მართლაც, ჩვეულებრივია ფორმები ყოველ დღე, ყოველ ღამე, მაგრამ, თუმცა შედარებით იშვიათად, დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ამ შესიტყვებებში დღე და ღამე მიცემითის ფორმით იხმარება.

## მაგალითად:

იყო ერთი დედაბერი, ჰყავდა ერთი ქათამი. ყოველ დღეს თითო კვერცხს უდებდა (ი. გაგებ.).

ამ ხნის განმავლობაში იასონი და ლიზა ყოველ დღეს დასეირნობდნენ ცხენებით (ეკ. გაბ.).

ყოველ დღეს ერთი და იგივე მეორდებოდა (ი. აგლაძე, თარგმ.).

<sup>2</sup> ივ. იმნაიშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 680.

<sup>3</sup> ანტ. კიზირია, დასახელებული შრომა, გვ. 114.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 653.

როცა ობილი დარია [ბულბული] ყოველს ღღეს წყალში ბანაობს  
(ა. გოგებ.). .

უხილუეთი კი ყოველ ღამეს შედიოდა სამზარეულოში (ხ. კლდ.).

[იგი] ყოველ ღამეს სარისკიპოში ეგდო (გ. წერეთ.).

თითქმის ყოველ ღამეს... ჩეენსა იმართებოდა კერძო საპარლამენტო  
კრება (ქ. ბაქრ. თარგმ.).

იქნება იმისთანა უურაოები ყოველ ღამეს ხდებოდეს (გ. წერეთ.)  
და სხვ.

იგივე მდგომარეობაა დროის აღმნიშვნელ ყოველ მსაზღვრე-  
ლიან სხვა სახელებთანაც. ჩანს, დასახელებულ შემთხვევათა გავლე-  
ნით, აქაც მიცემითი ბრუნვის პარალელურად, ხშირად, ხმოვან-  
ფუძიანი სახელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი და თითქოს ეს  
უფრო ბუნებრივიცაა.

მაგალითად:

ყოველ კვირა მარგალიტასთან ვარ ხოლმე სადილად (ა. მაჭავ. თარგმ.).  
ყოველ კვირა გიშიკავ შენი სახლის ამბავს (დ. კლდ.).

მაგრამ:

ყოველ კვირას კორჯობსა და წანდილს ხარშავდა (ილია).  
საჭიდაოზე ნავარდობს ვეფხვივით ყოველ კვირასა (აკაკი).

ასევე:

შემდგომ წასვლისა... ყოველ თვეს უგზავნიდა ვარდოს წიგნებს  
(დ. ჭონქ.).

ამგვარად, თუ დროის ხანგრძლივობა ნაანგარიშებია რომელიმე  
დროის ერთეულით, რომელსაც სათანადო მსაზღვრელი ახლავს,  
აღნიშნული სახელი პარალელურ ფორმებს გვიჩვენებს: ზოგჯერ  
სახელობითშია დასმული და ზოგჯერ მიცემითში.

გასარკვევად:

1. რამ გამოიწვია ასეთი მონაცვლე ფორმების გაჩენა დროის  
გარემოების გამოხატვისას? და

2. დასახელებულ პარალელურ ფორმათაგან რომელია უფრო  
მართებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის თვალ-  
საზრისით?

სათანადო გასალაზე დაკვირვება ცხადს ხდის, რომ მიცემითისა  
და სახელობითის განსხვავებულ ფორმათა ხმარება არ არის დამო-  
კიდებული არც იმაზე, თუ რომელ ან როგორ ზმნასთან არის დროის  
გარემოების გამომხატველი ერთეული დაკავშირებული, და არც იმა-

ზე, თუ სახელდობრ რომელი არსებითი სახელით არის ეს უკანასკნელი გადმოცემული (დღე, კვირა, წუთი, საათი, თვე, წელიწადი, საუკუნე...).

ერთნაირად იყენებს ორივე ბრუნვას აგრეთვე დროის მიმდინარეობის ხანგრძლივობის გადმოსაცემად სხვადასხვა ავტორი და ამ მხრივ მათ შორის არავითარი სხვაობა ან რაიმე კანონზომიერება გამოყენებისას არ შეინიშნება. მაგალითად,

ილია ჭავჭავაძის ნაწერებში გვხვდება:

ერთი მხრით:

„ვენახს თითქმის მთელს წელიწადს დღე-მუდამ შივტრიალი უნდა მუშა-ხელისა“, —

ხოლო მეორე მხრით:

„ხუთ გროშად მთელი საათი ახტუნებდნენ პამპულასა-ვით“. —

ერთი მხრით:

„გულმა ცემა ერთ წუთს შესწყვიტა“. —

მეორე მხრით:

„სამი წელიწადი ამ ყოფაში ვიყავ...“

აკაკი წერეთლის ნაწერებში:

„დღეში რამდენიმე საათს ცხენებს აჭენებლნენ“, — და

„რამდენიმე წელიწადი ვიყავი ამ ყოფაში“. —

„წუხელი ბუ მთელ ლამეს ყვიროდა ჩვენს ეზოში“ — და

„წუხელ მთელი ლამე თვალი არ დაუხუჭავს“. —

ვაჟა-ფშაველასთან:

„ისე მაგრა გაიქნია თავი და მიაჭახა კედელს, რომ ნახევარ საათს თავბრუ ესხმოდა“, — და

„ნახევარი ლამე არ მეძინა“. —

„შვიდ დღე-ლამეს დამბადებლის კარზე ვიყავ დაჩოქილი“, — და

„მეფემ უბრძანა, რომ სამი დღე და ლამე მისი მერანი უსმელ-უჭმელი ემყოფებინათ“. —

ი. გოგებაშვილთან:

„ჩემი პატარა ბარტყებისათვის მთელს დღეს კოლოებს ვიჟერდი“, — და

„თითქმის მთელი დღე დაფრინავს ხან დაბლა, ხან მაღლა“.

„მოსავალი ნახევარ წელს ძლივსა ჰყოფნით“, — და

„ნახევარ წელიწადი ერთი ნამი წყალი არ ჩასვლიათ“.

#### მიხ. ჭავახიშვილთან:

„რ...რრამდენიმე წელიწადს გეუოფა ამოდენა საქონელი“, — და

„რამდენი წელიწადი ეძებს მას მშიერი ოეიმურაზი“.

„ორიოდე გირვანქა პურის გულისთვის ვინმე ბაზაზის დუქანში ორ საათს იჭაჭებოდა“, — და

„სანამ წისქვილში ჩალასლასდებოდა, დალლილი ცხენივით ორი საათი მაინც ჰქვნებოდა“.

#### დ. კლდიაშვილთან:

„მოლაპარაკება გაგრძელდა რამოდენიმე საათს“, — და

„რამდენიმე დღე მთელ ქილაქში ძალი სალაპარაკოდ იყო“.

„მთელ ღამეს ხეს ამოფარებული იდგა“, — და

„[ავალმყოფმა] იბორგა მთელი ღამე“ და ა. შ.

ამრიგად, ერთსა და იმავე მწერალთან, ერთმანეთის გვერდით, ერთი მნიშვნელობითა და ფუნქციით ვხვდებით როგორც მიცემითი, ისე სახელობითი ბრუნვის ფორმებს და ზოგჯერ ეს ხდება ერთ წინადაღებაშიც კი.

#### მაგალითად:

— ჩემს მოურავს ეტყვი: ცხრა დღე და ცხრა ღამეს ჩემ სახლში უხვი მასპინძლობა არ შესწყდეს (შ. არაგვ.).

მიუხედავად ამისა, მასალის ანალიზი ზოგი ცალკეული დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას მაინც იძლევა.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს დროის გარემოების გამომხატველ სახელთა მსაზღვრელები. როგორც უკვე ვნახეთ, მსაზღვრელებად ძირითადად გამოყენებულია: ნებისმიერი რაოდენობითი რიცხვითი

სახელინ, ნაცვალსახელები — რამდენი, რამდენიმე (ამდენი, იმდენი) და ზედსართავი სახელი მთელი.

თუ ამ მხრივ დავაკვირდებით მასალას, ცხადი გახდება, რომ მიცემითი და სახელობითი ბრუნვის ფორმები ყველა ზემოაღნიშნულ მსაზღვრელიან სახელთან ერთნაირად არ არის განაწილებული; სახელდობრ: ნაცვალსახელებთან რამდენი, რამდენიმე (ამდენი, იმდენი) სახელობითის ხმარებას სჭარბობს მიცემითი ბრუნვის ხმარება, დაახლოებით ორჯერ, თუ მეტად არა, ე. ი. მიცემითის ყოველ ორ მაგალითზე (რამდენ თვეს გაგრძელდა, რამდენიმე საათს იჯდა, ამდენ დღეს უცადა, იმდენ წელიწადს იმალებოდა...) — სახელობითის მხოლოდ ერთი მაგალითი მოღის (რამდენი თვე იტანჯებოდა,, რამდენიმე საათი დასცექეროდა, ამდენი დღე იჯდა, იმდენი წელიწადი გასძელით...).

იმ სახელებთან, რომელთაც მსაზღვრელად რაოდენობითი რიცხვითი სახელი ახლავთ, მიცემით-სახელობით ბრუნვათა ხმარების შემთხვევები თითქმის თანაბარია ან ოდნავ სჭარბობს სახელობითი (ერთ კვირას დარჩა, სამ დღე და დამეს წვიმდა, თერთმეტ საათს მოვუნდი და — ერთი კვირა სდია, სამი დღე და ლამე გასტანა, ორი საათი იარეს).

სხვა სურათია იმ შემთხვევაში, როდესაც მსაზღვრელად გამოყენებულია სიტყვა მთელი. აქ უკვე სახელობითს უჭირავს გაბატონებული ადგილი და შეფარდება ასეთია: დროის გარემოების გამომხატველ სახელობით ბრუნვაში დასმულ ყოველ სამ სახელზე (მთელი კვირა ვემზადებოდი, მთელი თვე ვიწევი, მთელი ლამე ანთია, მთელი სალაშო იჯდა...) მხოლოდ ერთი შემთხვევა მოღის მიცემითისა (მთელ კვირას მუშაობდა, მთელ თვეს ვეწვალეთ, მთელ ლამეს ითოვა, მთელ სალაშოს იჯდა...).

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ხშირად დროის გარემოების გამომხატველ სახელს მთელ -თან ერთად, ერთდროულად სხვა მსა-

---

5 რიგობითი რიცხვითი სახელების საკითხი აქ არ დგას, რაღან, თუ ასეთი სახელია მსაზღვრელად ნახმარი, მაშინ დროის გარემოება მხოლოდ მიცემითი ბრუნვით გამოიხატება (ზორე დღეს, შეშვიდე თვეს, შეცხრე წელიწადს...).

6 შედარებით იშვიათად სხვა მსაზღვრელებიც გვხდება, როგორიცაა: თითო, მრავალი, მუდამ, ბევრი... და აქაც მიცემით-სახელობითის ისეთივე მონაცემებაა, როგორიც წინა შემთხვევებში;

ზღვრელიც შეიძლება ახლდეს და ასეთად, ჩვეულებრივ, რაოდენობითი რიცხვითი სახელი ან, იშვიათად, ჩვენებითი ნაცვალსახელი გვევლინება.

### მ ა გ ა ლ ი თ ა დ:

მთელს ერთს წელს სწორია ჰევანტა (ფაფა).

მთელს რვაას წელიწადს ჩაიღურის წყალს ასმევდა (კლია).

ის უსინოსოთ ატყუებდა მთელ სამ წელიწადს ქმარს (ჭ. ლომით).

შენობის არ ვეწვალეთ მე და ჩემი ქმარი მთელ ერთ თვეს?

### (ო. რაზიკი).

იქ პირველათ მთელ სამ თვეს ჯარისკაცები იდგნენ (ჭ. ლომით).

მთელ ექვს კვირას სხელში გინახვდდ (ვაფა).

მთელს ორ კვირას სად იყო და სად არა, კაცს მისი ამბავი იღარ შეუტყვია (გ. წერეთ).

მთელი ეს ღამე სულ შენ გაქებდი (კ. ზაყ.).

მთელი ის დღე ისე მუშაობდა, ხმა არ ამოუღია (ხ. კლდ).

მთელი სამი დღე დავრჩიო გზაზე... მე და კიკოლიბი (გ. წერეთ).

მთელი ერთი წელი გლოვობდა მარინე (ჭ. ლომით).

მთელი ოცდა ათი წელიწადი ვიყავი მავათსა მოურავათა  
(ხ. ლომით).

მთელი ერთი თვე გვაზეპირებინებდა ერთს ბერძნულს ფრაზას (ვაფა)-  
ლუარსაბი... მთელი ოთხი თვე დარჩა თბილისში (ეკ. გაბ.).

ციება დამიწყებინა და მთელი ორი კვირა მაცივა (ი. გოგბა).

მთელი სამი კვირა იდგნენ სანდვარჩედ (ი. მაჭავ. თარგმ.).

ამისთვის მთელი ოთხი საათი უნდა ჩაგრინინო ვაღაც ლაწირაკებს

### (გ. ბარნ).

მთელი ექვსი საათი სულ ტყეში ვიარეთ (ი. მაჭავ. თარგმ.)...

როგორც ჩანს, აქაც მიცემით-სახელობითის ჩვეულებრივი მონაცემებაა, მაგრამ ასეთ შემთხვევებში სახელობითი ბრუნვა გაცილებით უფრო ხშირადაა გამოყენებული დროის აღმნიშვნელ სახელებში, ვიდრე მიცემითი. ჩვენ მიერ შეკრებილ მასალაში, მაგალითად, სახელობითი ბრუნვის ხმარება ამ შემთხვევაში ხუთჯერ სჭარბობს მიცემითისას.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ისეთი შემთხვევები, როდესაც  
დროის გარემოების გამომხატველ არსებით სახელად გამოყენებუ-

**ლია ხანი** (იშვიათად დრო<sup>7</sup>). უპირველეს ყოვლისა, აღნიშნულ სახე-ლებთან დასტურდება ისეთი მსაზღვრელებიც, რომლებიც, ჩვეულებრივ, სხვა დროს არ იხმარება. ასეთებია: მეტი, ცოტა, კარგა, მცირე, დიდი... (მეტ ხანს, ცოტა ხანს, კარგა ხანს, მცირე ხანს, დიდ ხანს...); დროის გამოსახატავად არ იტყვიან: მეტ წუთს, კარგა ხაათს, ცოტა დამეს, მცირე წელიწადს ან დიდ თვეს... სამაგიეროდ, ხანი თითქმის არ გვხვდება მსაზღვრელთან მთელი (მთელ ხანს) და ასევე არ არის რიცხვით სახელებთან; ამ უკანასკნელთაგან იგი მხოლოდ ერთ-თან დასტურდება და ისიც მაშინ, როდესაც ერთი განუსაზღვრელი ნაცვალსახელია და არა რაოდენობითი რიცხვითი სახელი.

### მაგალითები:

ერთ ხანს უძრავად გაჰყურებდა ქალ-ვაჟს (გ. შატბ.).

უცხოელი სტუმარი ერთ ხანს რაღაცას მოუსვენრად ფიქრობდა

(გ. კიკილ. თარგბ.).

ერთ ხანს თვალგაშტრერებულნი უმშერლენ ერთმანეთს (გ. შატბ.).

მკითხავი ერთ ხანს ჩუმად ბუტმურებდა (გ. აბაშ.).

ერთ ხანს უსიტყვოდ მიაბიჭებდა (გ. შატბ.).

ამის შემდეგ ერთ ხანს ნაწყენი და დაფიქრებული დადიოდა (გ. შატბ.)...

რაც შეეხება ბრუნვის საკითხს, ხანი, ჩვეულებრივ, შემთხვევა-თა დიდ უმრავლესობაში მიცემით ბრუნვაშია წარმოდგენილი, სახე-ლობითში შედარებით იშვიათად გვხვდება.

### მაგალითები:

ცოტა ხანს ჩუმად მიღიოლნენ (თ. ჭილ.).

ცოტა ხანს ისე ჩუმად ისხლნენ (თ. ჭილ.).

შიგ მცირე ხანს აფათურა ხელი (გ. შატბ.).

შუუნამ... სარკესთან ჩევეულებრივში მეტ ხანს იტრიალა (გ. აბაშ.).

კარგა ხანს იდგა გალაჯული ჭაყო ვიწრო ტროტუარზე (გ. ჭავახ.).

კარგა ხანს ატრიალა ხელში (თ. ჭილ.).

გაქელილ ბალახინში კარგა ხანს იარეს (გ. შატბ.).

არ ვიცი, რამდენ ხანს ვილაპარაკე (რ. გვეტ.).

რამდენ ხანს დაიგვიანებს (ე. ნინოშ.).

მოხვევ ჩაფიქრდა რამდენიმე ხანს (ა. ყაზბ.).

ხალხი დაიშალა და ილია რამდენიმე ხანს ივანე ჭავახიშვილს და სხვებს ელაპარაკებოდა (ხ. შანშ.).

იმაზედ ჭიჭრობდა გაგი რამდენსამე ხანს (ა. ყაზბ.).

რამდენსამე ხანს ერთ ალავს იდგა (შ. არაგვ.).

7 მხედველობაში გვაქვს ასეთი მაგალითები: „ასე ჩანგვეულები კარგა დროს დგანან“ (შ. არაგვ.).

მე ა მ დ ე ნ ხ ა ნ ს დამწყვლეული ვიყავი (ლ. ქაჩ.).

სადა ა მ დ ე ნ ხ ა ნ ს ორეცსტრიტ (ბ. კლდ.).

ეს ბიჭი სად არის ა მ დ ე ნ ხ ა ნ ს ? (გ. წერეთ.).

დ ი დ ხ ა ნ ს ატრიალეს ძაღლებში (რ. ერისთ.).

დ ი დ ხ ა ნ ს ეგდო ბალახებში გაბრუებული (ზ. ჯავახ.).

დ ი დ ხ ა ნ ს იყო ოსმალეთის ხელში (ი. გოგებ.).

და სხვა მრავალი.

სახელობითი ბრუნვა ამ შემთხვევაში, როგორც ვთქვით, შედარებით იშვიათია. სულ რამდენიმე მაგალითი გვაქვს დადასტურებული. ესენია:

რა მ დ ე ნ ი ხ ა ნ ი ვარ ტოტზე გაყრული? (ზ. ჯავახ.).

ბრძენო ევზირო, რა მ დ ე ნ ი ხ ა ნ ი მეძინა ნეტავ? (კ. მაყ.).

ა მ დ ე ნ ი ხ ა ნ ი უცოლოთ რათ დავალამე? (ა. ცაგარელი).

სად დაიკარგე, კაცო, ა მ დ ე ნ ი ხ ა ნ ი? (ლ. ქაჩ.).

მან ამოკითხა ის, რის წაკითხვასაც ა მ დ ე ნ ი ხ ა ნ ი გაურბოდა

(ი. ელეფთ.).

შენ კი სადა ხარ ა მ დ ე ნ ი ხ ა ნ ი? (გ. ტაბ.).

ა მ დ ე ნ ი ხ ა ნ ი თურმე მწყემსებში, ჩანს, უსირცხვილოდ იმალებოდა (აკაკი).

განსაყუთრებით იშვიათია ფორმა დიდი ხანი. ჩვენ მიერ შეკრებილ მასალაში მისი ხმარების მხოლოდ ორი შემთხვევა დავადასტურეთ:

დ ი დ ი ხ ა ნ ი იყო ამ მდგომარეობაში (აკაკი).

შენთან მოველ, მუზა გამითამამდა, ამ შეკვედრას დ ი დ ი ხ ა ნ ი ველოდე (ბ. ამირებ.).

მაშასადამე, როდესაც დროის გარემოების აღმნიშვნელია ნებისმიერმასაზღვრელიანი სახელი ხანი, იგი, ჩვეულებრივ, მიცემითის ფორმითა წარმოდგენილი<sup>8</sup>.

ახლა დავუბრუნდეთ საკითხს, რომელია ამ ორი მონაცემე ფორმისგან მართებული თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის თვალსაზრისით, მიცემითი თუ სახელობითი — და რაა საფუძველი ასეთი პარალელური ფორმების გაჩენისა ენაში?

გრამატიკულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ასეთ შემთხვევებში საზოგადოდ მიცემითი ბრუნვის ფორმა უნდა იხმარებო-

8 ამ მხრივ საინტერესოა ისეთი მაგალითი, როგორცაა: „აქ ის დარჩა დ ი დ ხ ა ნ ს, თითქმის მთელი წელი წალი“ (ი. გოგებ.).

დეს<sup>9</sup>, რომ უპირატესობა მიცემითს ეძლევა<sup>10</sup>, ხოლო სახელობით-ბრუნვიანი ფორმები არ ითვლება სალიტერატურო ქართულის ნორ-მაღ<sup>11</sup>. ეს ბუნებრივიცაა, რადგან დროის გარემოების გამოხატვა მი-ცემითის ერთ-ერთი უძველესი ფუნქციაა და დასახელებულის გარ-და გვხვდება დროის ალსანიშნავად სხვა შემთხვევებშიც (კითხვაზე როდის?), სადაც სახელობითი სრულიად გამორიცხულია. როგორც ვნახეთ, თითქმის არ გვხვდება ის ამ ფუნქციით ძველ ქართულშიც და ამდენად, არც ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში იყო მოსალოდნელი. ე. ი. მართებულ და ერთადერთ მისაღებ ფორმად მხოლოდ მიცემით-ბრუნვიანი უნდა ჩაითვალოს (ამასთან, ხმარების შემთხვევები მიცე-მითისა სჭარბობს კიდევ).

საიდან გაჩნდა სახელობითი ბრუნვა დროის აღნიშვნელ სახე-ლებში?

ზოგჯერ დროის გარემოების გამომხატველი ესა თუ ის სახელი ბრუნვაცვალებად ობიექტად (ან, იშვიათად, რეალურ სუბიექტად) იყო გამოყენებული წინადაღებაში და შესაფერ გარემოებაში, ბუნებ-რივია, სახელობით ბრუნვაში იყო დასმული<sup>12</sup>, შემდეგ კი ამათი მიმ-სვალებით, იგივე ბრუნვა ამ სახელებმა დროის აღნიშვნის შემთხვე-ვაშიც გამოიყენა.

როგორც ჩანს, ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ზოგ-ჯერ ირეოდა ამ რიგის გარემოებისა და სუბიექტ-ობიექტის ფორმები და ჭირდა მათი გარჩევა.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, რომლებ-შიც სათანადო მსაზღვრელიანი დასახელებული სახელები მართლაც ობიექტს (ან რეალურ სუბიექტს) წარმოადგენს და თან, ერთი შე-ხედვით, დროის გარემოებას მოვავონებს.

მთელი საღამო მოვანდომე ამ საქმეს (ქ. ბაქრ. თარგმ.).

თორმეტი საათი მოვანდომე ათითვე კილომეტრის გავლას (ვ. ლორთქ.).

ამ ყოფით გაატარა როსაფმა რამდენიმე წელიწადი (გ. წერეთ).

<sup>9</sup> აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, სინტაქსი, თბილისი, 1948, გვ. 67.

<sup>10</sup> ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1966, გვ. 140.

<sup>11</sup> ივ. იმნაიშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 679.

<sup>12</sup> დაყო, დაეყო, აქცა და სხვა ზმნებონ გამოყენებული ასეთი სახელების შესახებ ძეველ ქართულში იხილე ივ. იმნაიშვილის დასახელებული შრომა, გვ. 650-651, 680.

ამ წვალებით გაატარა მთელი ღამე (ა. ყაზბ.).

ორი ზამთარი გაატარა მთელმა ოჯახმა ქალაქში. (ც. გაბ.).

შენთან უსაგნო ბაასში მთელი საათი დაცვარეთ (ც. გაბ.).

ბევრჯელ, გაზაფხულის ღამეს... სხვებთან ერთად მეც მთელი ღამე გამითევია (აკავი).

სამი ღამე მაინც არ გამითენებია შენი გულისათვის! (შ. არაგვ.).

თავადის საულმა... უკვე ხუთი წუთი გადააცილა დროს (ი. აგლაძე, თარგმ.).

ასეთივე მაგალითებია: შვიდი დღე გავაცდინე, ოთხი საუკუნე გავიღა, მთელი სამი თვე ამას შევალიეთ, მთელი დამე გამიტება და სხვა.

ამ მხრივ საინტერესოა ის მოვლენაც, როდესაც, არც თუ ისე ხშირად, დროის გარემოების გამომხატველი სახელი (უმთავრესად, დღე, დამე) მრავლობით რიცხვში დგას; აქაც ის, ძირითადად, სწორედ სახელობითი ბრუნვით არის გაფორმებული. ჩანს, ამ შემთხვევაში ალნიშნული სახელი მისი მრავლობითობის გამო უფრო ობიექტურ გაიაზრება, ვიდრე დროის გარემოებად.

მაგალითად:

მთელი დღეები მარტო დაჟიოდა (ს. კლდ.).

ესენიც მთელი დღეები ვენახების ირგვლივ ატრიალებდნენ ხარებს (თ. რაზიკი).

ახალგაზრდები მთელი დღეები ერთად იყვნენ (ს. კლდ.).

მთელი დღეები წყალში ისხდნენ და ჭყუმბალაობდნენ (თ. რაზიკი).

მთელი დღეები კერასთან ვიჯეჭ (ც. გაბ.).

მთელი ღამეები ჩემს თვალს ძილი არ ეკარებოდა (ა. ჭუმბ.).

მთელი ღამეები დახეტიალობდა ხოლმე (ი. ეკალ)...

ამასთან, ის იშვიათი შემთხვევები, როცა დროის აღმნიშვნელი სიტყვა მრავლობითი რიცხვის მიცემით ბრუნვაშია დასმული და სწორი წარმოებისადაა მიჩნეული, არაბუნებრივადაც კი უღერს. ასე, მაგალითად:

მთელს დღეებს, გულის ცახცახით, თავს დაჰყურებდა თავის გატიალებულს ქოხსა (ა. ყაზბ.).

მთელ ღამეებს კლარაჭობ (ს. კლდ.)...

თუმცა, აქ, ალბათ, სახელობითის ფეხის მოკიდებისათვის მრავლობითის ფორმის გარდა, მსაზღვრელმაც (მთელი) იქონია გავლენა.

თუ ზემოთ ნათქვამს გავითვალისწინებთ, დავრწმუნდებით, რომ სახელი ხანი სწორედ იმიტომაა თითქმის ყოველთვის მიცემითში, რომ მას დროული გაგება გაცილებით უფრო მკაფიოდ აქვს გამოხა-

ტული, ისე ადვილად არ ირევა ობიექტთან და სუბიექტთან და ხშირად ერწყმის კიდეც წინამავალ მსაზღვრელს, რის შედეგადაც ერთ სიტყვად, კომპოზიტად წარმოგვიდგება, რომელსაც უკვე აშეარად მხოლოდ დროის გაგება აქვს (დილხანს, ცოტახანს, კარგახანს, მეტხანს...). შედრ, დღეს, სალაშოს, ზაფხულს, შემოდგომას, წელს, დალას...).

ამითვე აიხსნება, ალბათ, ისიც, რომ მიცემითი და სახელობითი ბრუნვები თანაბრად არ არის განაწილებული სხვადასხვამსაზღვრელიან დროის გამომხატველ სახელებთან და სწორედ მთელი მსაზღვრელიანი სახელები იგუებს ცველაზე ადვილად სახელობით ბრუნვის.

მაშასადამე, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს სახელობით-მიცემითის ფორმები, რომლებიც დროს გამოხატავენ და სახელობითი ბრუნვის ფორმა, რომელიც ობიექტს გამოხატავს. დროის გამოსახატვად თანამედროვე სალიტერატურო ქართული, მიუხედავად იმისა, რომ მასში სახელობითის ფორმები სჭარბობს მიცემითისას გარკვეულ კონსტრუქციებში (მაგ., მთელ მსაზღვრელთან), მაინც მიცემითის აძლევს უპირატესობას და, ბუნებრივია, ამ უკანასკნელს უნდა მიეცეს გასაქანი.

ამასთან, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, როცა დროის გამოსახატვად გავრცელებული სიტყვები ობიექტადაა გამოყენებული ფრაზაში, მათვის სწორედ სახელობითი ბრუნვაა უპრიანი დრო-კილოთა მეორე წყების ფორმებში წარმოდგენილ ზმნებთან.

ამრიგად, გვექნება:

რამდენ	{	საუკუნეს გაგრძელდა.
ამდენ		
იმდენ		
რამდენ	{	წელს (//წელიწადს) ცოცხლობს.
ამდენ		
იმდენ		
რამდენ	{	თვეს დარჩა.
ამდენ		
იმდენ		
რამდენ	{	კვირას მუშაობს.
ამდენ		
იმდენ		

რამდენ	{	დღეს ავალმყოფობდა.
ამდენ		
იმდენ		
რამდენ	{	ლამეს იტანჯებოდა.
ამდენ		
იმდენ		
რამდენ	{	საათს იჯდა.
ამდენ		
იმდენ		
რამდენ	{	წუთს ვისაუბრეთ...
ამდენ		
იმდენ		
ერთ, ორ... საუკუნეს ებრძოდა.		
ერთ, ორ... წელს (// წელიწადს) ჰყოფნით		
ერთ, ორ... თვეს დაისვენებს.		
ერთ, ორ... კვირას იმალებოდა.		
ერთ, ორ... დღეს ელოდა.		
ერთ, ორ... ლამეს აიტანს (უძილობას).		
ერთ, ორ... საათს ლაპარაკობდა.		
ერთ, ორ... წუთს მოითმინეთ!..		
მთელ საუკუნეს გაუძლო.		
მთელ წელს (// წელიწადს) ახსოვდა.		
მთელ თვეს უცადა.		
მთელ კვირას ეძებდა.		
მთელ დღეს ისმოდა.		
მთელ ლამეს ყვიროდა.		
მთელ სალაშოს ენთო.		
მთელ საათს ამზადებდა.		
მთელ ზამთარს სძინავს.		
მთელ ზაფხულს არ ჩანდა.		
მთელ შემოდგომას ეყოფა...		
რამდენ	{	ხანს დაიგვიანა.
ამდენ		
იმდენ		

დიღხანს უყურებდა.  
კარგა ხანს იარეს.  
მეტხანს იტრიალა.  
ცოტა ხანს იდგა.  
მცირე ხანს დაყოვნდა.  
ერთხანს ფიქრობდა...